ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 11
22/07/2020

11-08-4-202007221551

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის

სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ამავე კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულება დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N40 დადგენილება.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა